

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი  
დეპარტამენტი

სოფიკო ცეცხლაძე

**დაგროვებითი საპენსიო დაზღვევის სისტემა: ანალიზი და  
პროგნოზირება  
(მსოფლიო გამოცდილება და საქართველო)**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფრატი

ბათუმი - 2026

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივ დეპარტამენტში

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** **ასიე ცინცაძე,**  
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

**უცხოელი შემფასებელი:** **ლუდმილა დემიდენკო**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ფინანსების  
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,  
კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული  
უნივერსიტეტი

**შემფასებლები:** **ლელა ონიანი**  
ბიზნესისა და მართვის დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**რამინ ცინარიძე**  
ბიზნესის მართვის დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**თამთა ვარშანიძე**  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2026 წლის 26 ივნისს, 12:00 საათზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35/32, აუდიტორია N423

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში და ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე - [www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge).

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი:** **ლეილა ცეცხლაძე**  
ბიზნესის მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა  
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## I. ნაშრომის საერთო დახასიათება

**თემის აქტუალობა.** დაგროვებითი საპენსიო სისტემა წარმოადგენს სოციალური დაცვისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს. საქართველოს პირობებში სისტემის ეფექტიანობა და მდგრადობა დამოკიდებულია დემოგრაფიულ ტენდენციებზე, საინვესტიციო პოლიტიკასა და მაკროეკონომიკურ გარემოზე. არსებული გამოწვევები (დაბერება, დაბალი ჩანაცვლების კოეფიციენტი, ბაზრის შეზღუდული სიღრმე). საქართველოში მოქმედი სავალდებულო დაგროვებითი მოდელის ეფექტიანობა და მდგრადობა ჯერ კიდევ შეფასების პროცესშია. არსებობს ფუნდამენტური კითხვები: რამდენად შეძლებს სისტემა სოციალური დაცვის მინიმუმის უზრუნველყოფას გრძელვადიან პერიოდში და როგორ გაუმკლავდება ის საინვესტიციო თუ დემოგრაფიულ რისკებს? სწორედ აღნიშნული ასპექტები განაპირობებს ნაშრომის აქტუალობას. დაგროვებითი საპენსიო სისტემის ანალიზი და პროგნოზირება არა მხოლოდ აკადემიური ინტერესის საგანია, არამედ გადამწყვეტ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ პოლიტიკაზე. საზოგადოების მაღალი ინტერესი, რომელიც დაყოფილია სისტემის ინიციატორებად და ბენეფიციარებად, კიდევ უფრო ზრდის ამ პრობლემის სიღრმისეული განხილვის საჭიროებას. ანაპირობებს სისტემის რაოდენობრივი შეფასებისა და პროგნოზირების საჭიროებას.

**კვლევის ობიექტია** საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემა, მისი ინსტიტუციური მოწყობა, ფინანსური მექანიზმები და გავლენა სოციალურ და მაკროეკონომიკურ პროცესებზე.

**კვლევის მიზანია** დაგროვებითი საპენსიო სისტემის კომპლექსური ანალიზი და მისი გრძელვადიანი განვითარების ეკონომეტრიკული და სცენარული პროგნოზირება.

**კვლევის ამოცანები:**

- ✓ დაგროვებითი საპენსიო სისტემის თეორიული საფუძვლების ანალიზი;
- ✓ საქართველოს საპენსიო სისტემის ინსტიტუციური და ფინანსური მახასიათებლების შესწავლა;
- ✓ დემოგრაფიული ფაქტორების გავლენის შეფასება;

- ✓ საინვესტიციო შედეგიანობის ეკონომეტრიკული ანალიზი;
- ✓ საერთაშორისო პრაქტიკის შედარებითი შეფასება;
- ✓ პროგნოზირების მოდელის აგება და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ბაზა.** ნაშრომში შემუშავებულია ინტეგრირებული ანალიტიკური მოდელი, რომელიც აერთიანებს დაგროვებითი საპენსიო სისტემის შეფასებისა და პროგნოზირების სამ ძირითად კომპონენტს: ეკონომეტრიკულ, დემოგრაფიულ და სცენარიულ ბლოკებს.

ეკონომეტრიკული კომპონენტი ეფუძნება დროითი რიგების ანალიზს და მოიცავს ARIMA მოდელის გამოყენებით საპენსიო აქტივების დინამიკისა და საინვესტიციო შემოსავლიანობის პროგნოზირებას. აღნიშნული მოდელი საშუალებას იძლევა შეფასდეს მაკროეკონომიკური ფაქტორების (მშპ, ინფლაცია, გაცვლითი კურსი) გავლენა საპენსიო ფონდის შედეგებზე და დადგინდეს მათ შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები.

დემოგრაფიული კომპონენტი მოიცავს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის, შობადობის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის დინამიკის ანალიზს, რაც განსაზღვრავს საპენსიო სისტემის გრძელვადიან ფისკალურ დატვირთვასა და მდგრადობას.

სცენარიული კომპონენტი აერთიანებს ბაზისურ, ოპტიმისტურ და კონსერვატიულ პროგნოზებს, რომლებიც აგებულია სხვადასხვა ეკონომიკური და დემოგრაფიული პარამეტრების ცვლილების პირობებში. აღნიშნული მიდგომა იძლევა სისტემის განვითარების ალტერნატიული ტრაექტორიების შეფასების საშუალებას და უზრუნველყოფს რისკების კომპლექსურ ანალიზს.

ამგვარად, შემუშავებული მოდელი წარმოადგენს მრავალფაქტორულ, ინტეგრირებულ ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ეკონომეტრიკულ პროგნოზირებას, დემოგრაფიულ ანალიზსა და სცენარიულ მოდელირებას საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის შეფასებისთვის.

1. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფინანსური და მაკროეკონომიკური მონაცემები, რომლებიც მოიცავს

პერიოდს 2019–2024 წლები. აღნიშნული პერიოდი შერჩეულია სისტემის ფუნქციონირების დაწყებიდან დღემდე არსებული სრული მონაცემების გათვალისწინებით.

მონაცემთა ძირითადი წყაროებია:

- ✓ საქართველოს საპენსიო სააგენტოს წლიური ანგარიშები;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები;
- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემები (GEOSTAT);
- ✓ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემთა ბაზები;
- ✓ მსოფლიო ბანკის ღია მონაცემები.

გამოყენებული ცვლადებია: საპენსიო ფონდის აქტივების მოცულობა, საინვესტიციო ამონაგები (ROI), ინფლაცია, მშპ, გაცვლითი კურსი და დემოგრაფიული მაჩვენებლები.

2. საპენსიო აქტივების დინამიკისა და საინვესტიციო ამონაგების პროგნოზირებისთვის გამოყენებულია ავტორეგრესიული ინტეგრირებული მოძრავი საშუალოს მოდელი – ARIMA.

$$ARIMA(p,d,q): \Delta^d y_t = c + \sum_{i=1}^p \varphi_i y_{t-i} + \sum_{j=1}^q \theta_j \varepsilon_{t-j} + \varepsilon_t$$

სადაც:

- $y_t$  — საპენსიო აქტივების ან ამონაგების დროითი რიგი;
- $d$  — დიფერენცირების ხარისხი (სტაციონარობის უზრუნველსაყოფად);
- $p$  — ავტორეგრესიული კომპონენტის რიგი;
- $q$  — მოძრავი საშუალოს კომპონენტის რიგი;

მოდელის პარამეტრები შერჩეულია ინფორმაციული კრიტერიუმების (AIC, BIC) მინიმიზაციის საფუძველზე, ხოლო მოდელის ადეკვატურობა შემოწმებულია ნარჩენების ავტოკორელაციისა და ჰეტეროსკედასტიურობის ტესტებით.

3. საპენსიო აქტივების ამონაგებაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენის შესაფასებლად გამოყენებულია მრავლობითი რეგრესიის მოდელი:

$$ROI_t = \alpha + \beta_1(\text{pens}_t) + \beta_2(\text{ret}_t) + \beta_3 \text{ex}_t + \varepsilon_t$$

სადაც:

- $ROI_t$  — საპენსიო ფონდის ეფექტიანობა;
- $\text{Pension contribution}_t$  — საპენსიო შენატანი;
- $\text{Return on investment}_t$  -უკუგება ინვესტიციიდან;
- $\text{EX}_t$  — გაცვლითი კურსი;

მოდელის შეფასება განხორციელდა მცირე კვადრატების მეთოდით (OLS).

4. პროგნოზირების ეტაპზე გამოყენებულია სამი სცენარი:

- ✓ ბაზისური — არსებული ტენდენციების შენარჩუნება;
- ✓ ოპტიმისტური — ეკონომიკური ზრდისა და საინვესტიციო ამონაგების გაუმჯობესება;
- ✓ კონსერვატიული — მაღალი ინფლაცია და დაბალი შემოსავლიანობა.

სცენარები აგებულია მაკროეკონომიკური პარამეტრების სხვადასხვა კომბინაციით, რაც უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობის შეფასებას განსხვავებულ პირობებში. მოდელების შეფასება განხორციელდა EViews პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. შემუშავებულია ინტეგრირებული ეკონომეტრიკულ-სცენარული მოდელი, რომელიც აერთიანებს დემოგრაფიულ, ფისკალურ და საინვესტიციო ფაქტორებს და უზრუნველყოფს დაგროვებითი საპენსიო სისტემის გრძელვადიანი მდგრადობის რაოდენობრივ შეფასებას საქართველოს პირობებში.
2. განვითარებულია ჩანაცვლების კოეფიციენტის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც პირველად აერთიანებს მას როგორც შემოსავლებთან, ისე საარსებო მინიმუმთან, რაც უზრუნველყოფს სისტემის სოციალური ეფექტიანობის უფრო რეალისტურ შეფასებას.
3. განხორციელებულია საპენსიო აქტივების ეკონომეტრიკული ანალიზი, რომლის ფარგლებში შეფასებულია საინვესტიციო შემოსავლიანობის (ROI) კავშირი მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან (მშპ, ინფლაცია და ფინანსური ბაზრების დინამიკა).

4. შემუშავებულია მრავალსცენარიანი პროგნოზირების მოდელი (ბაზისური, ოპტიმისტური, კონსერვატიული), რომელიც განსაზღვრავს სისტემის განვითარების ალტერნატიულ ტრაექტორიებს.

5. შემოთავაზებულია საერთაშორისო გამოცდილების ადაპტაციის მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც ეფუძნება ქვეყნის დემოგრაფიულ და ინსტიტუციურ თავისებურებებს.

6. დასაბუთებულია დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფუნქცია როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზატორის, რომელიც ხელს უწყობს შიდა დანაზოგების ზრდას და კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

**ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა.** ნაშრომი აერთიანებს დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და საინვესტიციო ფაქტორებს ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოში და ავითარებს დაგროვებითი საპენსიო სისტემის შეფასების მეთოდოლოგიას.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას:

1. საპენსიო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში;
2. ფინანსური რეგულირების გაუმჯობესებაში;
3. საინვესტიციო სტრატეგიების ფორმირებაში.

## **ნაშრომის სტრუქტურა**

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან.

შესავალი

### **თავი I. დაგროვებითი საპენსიო ფონდების ადგილი და როლი ეკონომიკაში**

1.1 საპენსიო სისტემის გენეზისის ეკონომიკური საფუძვლები

1.2 საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში საპენსიო უზრუნველყოფის როლი

1.3 დემოგრაფიული ასპექტების გავლენა სახელმწიფო სისტემაზე

### **თავი II. დაგროვებითი საპენსიო ფონდების საქმიანობის თავისებურებები**

2.1 დაგროვებითი საპენსიო ფონდების სამართლებრივი საფუძვლები

2.2 დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფუნქციონირების მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება

2.3 დაგროვებითი საპენსიო ფონდების საინვესტიციო პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები

**თავი III. დაგროვებითი საპენსიო პორტფელის მართვის მოდელის შემუშავება**

3.1 დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმოხილვა და ანალიზი

3.2 საპენსიო დანაზოგების ინვესტირების ეფექტურობა

3.3 სახელმწიფო საპენსიო ფონდის ეკონომეტრიკული ანალიზი

3.4 საპენსიო ფონდის ინვესტირების რისკების ანალიზი და შეფასება

**დასკვნები და რეკომენდაციები**

**გამოყენებული ლიტერატურა**

## II. დისერტაციის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველი თავში – „დაგროვებითი საპენსიო ფონდების ადგილი და როლი ეკონომიკაში“ - საპენსიო სისტემის განვითარება განიხილება როგორც ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლების გადანაწილებას სიცოცხლის ციკლის ფარგლებში. სისტემის ფუნქციონირება პირდაპირ აისახება შრომის ბაზარზე, დანაზოგებზე და ინვესტიციებზე. სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეკონომიკური გარემოს ცვლილებებზე რეაგირება და ბენეფიციართა დამოკიდებულების გათვალისწინება ახალი საინვესტიციო სცენარებისადმი.

ისტორიულად, საპენსიო სისტემების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასა და სოციალური რისკების სახელმწიფოებრივ მართვასთან, რაც საფუძვლად დაედო თანამედროვე მრავალსაფეხურიან მოდელებს.

თანამედროვე პირობებში საპენსიო ფონდები ფუნქციონირებენ როგორც ინსტიტუციური ინვესტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კაპიტალის ბაზრის განვითარებასა და გრძელვადიანი ფინანსური რესურსების ფორმირებაზე.

ეკონომიკური თეორიის კრილში, საპენსიო სისტემები სიცოცხლის ციკლის ჰიპოთეზის პრაქტიკული რეალიზაციაა, სადაც ინდივიდი ცდილობს მოხმარების ოპტიმალურ გადანაწილებას მთელი სიცოცხლის მანძილზე. თანამედროვე ეკონომიკაში საპენსიო ფონდები აღარ განიხილება მხოლოდ სოციალური კეთილდღეობის პროგრამებად. დაგროვებითი სისტემების მეშვეობით ფორმირებული გრძელვადიანი რესურსი ზრდის ქვეყნის შიდა დანაზოგებს, აუმჯობესებს კაპიტალის ბაზრის ლიკვიდურობას და ქმნის ფინანსურ ბაზრებზე სტაბილურ, პროგნოზირებად მოთამაშეს.

საპენსიო სისტემა წარმოადგენს სოციალური პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს პენსიის პერიოდში.

საპენსიო უზრუნველყოფის ეფექტიანობა დამოკიდებულია ფინანსურ შესაძლებლობებზე, დემოგრაფიულ სტრუქტურასა და საინვესტიციო პოლიტიკაზე.

კვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ საქართველოში სოციალური ხარჯების ზრდა ვერ უზრუნველყოფს შესაბამის სოციალურ ეფექტს, რაც მიუთითებს სისტემის სტრუქტურულ პრობლემებზე.

საპენსიო სისტემის მდგრადობის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს დემოგრაფიული მდგომარეობა წარმოადგენს. კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის დაბერება და შობადობის შემცირება ზრდის სისტემაზე ფისკალურ დატვირთვას და ამცირებს მისი მდგრადობის შესაძლებლობას. დაბერების ტენდენცია აიძულებს სახელმწიფოებს, გადახედონ სოციალური კონტრაქტის პრინციპებს, რადგან ტრადიციული სოლიდარობის სისტემები ვეღარ უმკლავდებიან მზარდ დისბალანსს გადამხდელებსა და ბენეფიციარებს შორის. მოსახლეობის დაბერება ამცირებს შრომის მიწოდებას. ეს კი უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

საქართველოს შემთხვევაში დემოგრაფიული ტენდენციები (ემიგრაცია, დაბალი შობადობა) აძლიერებს სისტემურ რისკებს და მოითხოვს დაგროვებითი კომპონენტის გაძლიერებას.

ნაშრომის მეორე თავში – „**დაგროვებითი საპენსიო ფონდების საქმიანობის თავისებურებები**“ – განხილულია დაგროვებითი საპენსიო ფონდების სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს სისტემის ფუნქციონირების ინსტიტუციურ სტაბილურობას და საინვესტიციო პროცესების სანდოობას.

საქართველოში საპენსიო სისტემის სამართლებრივი საფუძველი ჩამოყალიბდა 2018 წლის კანონით, რომელმაც განსაზღვრა „2+2+2“ დაფინანსების მოდელი და ინსტიტუციური მართვის მექანიზმები. კვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ არსებული სამართლებრივი მოდელი უზრუნველყოფს სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას, თუმცა საჭიროებს საინვესტიციო რეგულაციების შემდგომ დახვეწას.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საპენსიო სისტემების მდგრადობა დამოკიდებულია მრავალსაფეხურიან მოდელზე, საინვესტიციო დივერსიფიკაციასა და ეფექტურ რეგულაციაზე. ყველაზე მდგრადია მრავალსაფეხურიანი (Multi-pillar) სისტემები. აშშ-ს, ნორვეგიის, შვედეთის, თურქეთის საპენსიო სისტემების შესწავლამ და შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ განვითარებული ქვეყნების მოდელები

ეფუძნება აქტივების ფართო დივერსიფიკაციას და გრძელვადიან საინვესტიციო სტრატეგიებს. დადგინდა, რომ წარმატებული სისტემები ხასიათდება მაღალი ჩართულობით, გამჭვირვალე მართვით და საინვესტიციო პოლიტიკის მოქნილობით.

ცხრილი 1. ქვეყნების საპენსიო სისტემების შედარებითი დახასიათება

ქვეყანა	საპენსიო ასაკი	საშუალო პენსია	სისტემის მთავარი მახასიათებელი
აშშ	67	\$1150	მძლავრი ინდივიდუალური ანგარიშები (401k)
ნორვეგია	67	\$2000	ნავთობის რესურსებზე დაფუძნებული გლობალური ფონდი
შვედეთი	65	\$1800	ინტეგრირებული საპენსიო ფონდები (PPM) არჩევანის თავისუფლებით
თურქეთი	58-60	~\$600	კერძო სისტემა დაბალი ნდობითა და მაღალი ინფლაციით


წყარო: ავტორის მიერ შედგენილი

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ უცხოური მოდელების მექანიკური გადმოტანა საქართველოს პირობებში არაეფექტიანია და აუცილებელია მათი ადაპტაცია ადგილობრივი ეკონომიკური და დემოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით. საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს საპენსიო სისტემის ეფექტიანობის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს.

ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს საპენსიო ფონდის პორტფელი ხასიათდება კონსერვატიული სტრუქტურით, სადაც დომინირებს დაბალი რისკის ინსტრუმენტები. საქართველოში საინვესტიციო საქმიანობა რეგულირდება საკანონმდებლო ჩარჩოთი, რომლის ფარგლებშიც 2023 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა სამი ტიპის პორტფელი — კონსერვატიული, დაბალანსებული და დინამიკური. ეს მოდელი მონაწილეებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ასაკისა და რისკისადმი მედეგობის გათვალისწინებით შეარჩიონ მათთვის ხელსაყრელი სტრატეგია.

ფონდის აქტივების გეოგრაფიული და ინსტრუმენტული განაწილება მიუთითებს პორტფელის დივერსიფიცირებულ სტრუქტურაზე. აღნიშნული კი ადასტურებს გლობალური დივერსიფიკაციის მაღალ ხარისხს და ამცირებს ადგილობრივ ეკონომიკურ რისკებზე დამოკიდებულებას. ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი განთავსებულია აშშ-ის, ევროპისა და აზიის განვითარებულ ბაზრებზე, რაც ამცირებს ადგილობრივ ეკონომიკურ შოკებზე დამოკიდებულებას. თუმცა, შიდა ბაზრის წილი, რომელიც ძირითადად სახელმწიფო ობლიგაციებსა და საბანკო დეპოზიტებს მოიცავს, მიუთითებს საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალ დონესა და შეზღუდულ ლიკვიდურობაზე. საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ შვედეთის, აშშ-ისა და ავსტრალიის მაგალითები, ადასტურებს, რომ წარმატებული საპენსიო სისტემები ეფუძნება „სიცოცხლის ციკლის“ სტრატეგიას, სადაც ასაკის მატებასთან ერთად აქციების წილი პორტფელში მცირდება სტაბილური ინსტრუმენტების სასარგებლოდ.

დიაგრამა 1.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ APRA (2023), Swedish Pensions Agency (2023), U.S. Department of Labor (2022) და OECD (2023) მონაცემების საფუძველზე.

საპენსიო სააგენტო იყენებს მრავალდონიან რისკ-მენეჯმენტის მოდელს, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ, საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს.

პორტფელის მგრძობელობის შესაფასებლად გამოიყენება ისეთი თანამედროვე მეთოდები, როგორცაა Value-at-Risk (VaR) და სტრეს-ტესტები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გლობალური ტენდენციების კვალდაკვალ, ფონდი გეგმავს ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) კრიტერიუმების ინტეგრირებას საინვესტიციო პროცესში, რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიან მდგრადობასა და რეპუტაციული რისკების შემცირებას. კანადური და ჰოლანდიური ფონდების მსგავსად, ინტეგრირებული რისკების მართვა საშუალებას იძლევა, საინვესტიციო გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას არა მხოლოდ მოკლევადიანი მოგების, არამედ სისტემური მდგრადობის გათვალისწინებით.

ცხრილი 2. საპენსიო ფონდების საინვესტიციო პორტფელის შედარებითი სტრუქტურა

ქვეყანა/ ფონდი	აქციები (%)	ობლიგაციები (%)	ალტერნატიული აქტივები (%)	საშ. ROI (2023, %)
საქართველო (საპენსიო სააგენტო)	35	55	10	9,8
შვედეთი (AP7 Fund)	85	10	5	11,5
კანადა (CPP Investments)	45	30	25	10,9

წყაროები: OECD (2023), AP7 Annual Report (2023), CPP Investments (2023), APRA Statistics (2023).

საინვესტიციო შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს საპენსიო ფონდმა ფუნქციონირების პირველ წლებში მიაღწია კონკურენტულ შემოსავლიანობას (ROI), რაც რეალურ გამოხატულებაში აღემატება ინფლაციის მაჩვენებელს. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ფონდის ROI კონკურენტულია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით და ადასტურებს სისტემის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას საწყის ეტაპზე. 2025 წლის მონაცემებით, ფონდის მიერ გენერირებული სარგებელი თავსებადია OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებთან, რაც ადასტურებს არჩეული დივერსიფიკაციის მოდელის ეფექტიანობას. ცხრილი 2 ასახავს, რომ საქართველოს საპენსიო ფონდის საინვესტიციო პორტფელი შედარებით კონსერვატიულია განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებით, რაც განაპირობებს დაბალ რისკს, თუმცა ზღუდავს გრძელვადიანი მაღალი ამონაგების პოტენციალს.

საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარებით, საქართველოს საპენსიო სისტემას აქვს პოტენციური გაზარდოს აქტივების დივერსიფიკაცია და საინვესტიციო ეფექტიანობა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სისტემის შემდგომი განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ალტერნატიულ აქტივებში — ინფრასტრუქტურულ პროექტებში, კერძო კაპიტალსა და უძრავ ქონებაში — ინვესტირების დაწყება. ეს არა მხოლოდ გაზრდის პორტფელის დივერსიფიკაციას, არამედ ხელს შეუწყობს შიდა ეკონომიკის „ინკლუზიურ ზრდას“. არსებული გამოწვევების დაძლევა, როგორცაა სავალუტო რისკების მართვა და მონაწილეთა ფინანსური განათლების დონის ამაღლება, განაპირობებს საპენსიო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებასა და მის გრძელვადიან ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას.

ნაშრომის მესამე თავის „დაგროვებითი საპენსიო პორტფელის მართვის მოდელის შემუშავება“ ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემა ხასიათდება აქტივების ზრდის სტაბილური ტენდენციით, რაც განპირობებულია როგორც შენატანების ზრდით, ისე საინვესტიციო შემოსავლით. მონაცემთა შეფასება მიუთითებს, რომ ფონდის ღირებულების ზრდა აღემატება მონაწილეთა ზრდის ტემპს, რაც ადასტურებს საინვესტიციო კომპონენტის დადებით გავლენას.

საპენსიო სააგენტოს ფინანსური მონაცემების ანალიზი აჩვენებს აქტივების დინამიკურ ზრდას — 2023 წლის აგვისტოსთვის ფონდმა 3.85 მლრდ ლარს მიაღწია.

დიაგრამა 2. საპენსიო სააგენტოს ბიუჯეტი (მლნ ლარი) და ბიუჯეტის წლიური ზრდის ტემპი, 2019- 2022 წლები



წყარო: საპენსიო სააგენტო. წლიური ანგარიშები, 2023

დიაგრამა 2 ასახავს საპენსიო სქემაში გაწევრიანებულთა რაოდენობის დინამიკას დროის ჭრილში. წარმოდგენილი მონაცემები მიუთითებს სისტემის სტაბილურ გაფართოებაზე, რაც განპირობებულია სავალდებულო მონაწილეობის მექანიზმითა და დასაქმებულთა ეტაპობრივი ჩართულობით. ანალიზი აჩვენებს, რომ მონაწილეთა რაოდენობის ზრდა ხასიათდება თანმიმდევრული აღმავალი ტენდენციით, რაც მიუთითებს სისტემის ინსტიტუციურ გამყარებასა და მოსახლეობის ჩართულობის ზრდაზე. საპენსიო სისტემის მასშტაბის ზრდა ქმნის ფინანსური რესურსების დაგროვების საფუძველს და წარმოადგენს მისი გრძელვადიანი მდგრადობის ერთ-ერთ წინაპირობას.

დიაგრამა 3. საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხა (მლრდ ლარი) და მისი ზრდის ტემპი 2019- 2023 წლებში.



წყარო: საპენსიო სააგენტო. წლიური ანგარიშები, 2023

დიაგრამა 3 ასახავს საპენსიო ფონდის აქტივების (ღირებულების) დინამიკას, რომელიც წარმოადგენს სისტემაში აკუმულირებული ფინანსური რესურსების მოცულობას. მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფონდის ღირებულება იზრდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე მონაწილეთა რაოდენობა, რაც მიუთითებს არა მხოლოდ შენატანების ზრდაზე, არამედ საინვესტიციო საქმიანობის დადებით ეფექტზე. ფონდის ღირებულების დინამიკა ადასტურებს, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა ფუნქციონირებს როგორც კაპიტალის ფორმირების ეფექტიანი მექანიზმი და უზრუნველყოფს აქტივების რეალურ ზრდას გრძელვადიან პერიოდში.

დიაგრამების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საპენსიო სისტემის განვითარება ხასიათდება როგორც მონაწილეთა რაოდენობის, ასევე ფინანსური აქტივების ზრდით. ამასთან, აქტივების ზრდის უფრო მაღალი ტემპი მიუთითებს საინვესტიციო კომპონენტის მნიშვნელოვან როლზე სისტემის ეფექტიანობაში.

მიუხედავად ამისა, საინვესტიციო პოლიტიკა ამ ეტაპზე ხასიათდება გადაჭარბებული სიფრთხილით: აქტივების 63% განთავსებულია საბანკო დეპოზიტებსა და სერტიფიკატებში, ხოლო 16% — სახაზინო ობლიგაციებში. ასეთი პასიური სტრატეგია, რომელიც ნაწილობრივ განპირობებული იყო საინვესტიციო საბჭოს დაკომპლექტების დაგვიანებით, გრძელვადიან პერსპექტივაში შეიცავს ინფლაციური გაუფასურების რისკს და ამცირებს პენსიის რეალურ მსყიდველუნარიანობას.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სისტემურ მოუმზადებლობაზე, რაც გამოიხატა რისკიანობის მიხედვით პორტფელების შერჩევის ვადის 2028 წლამდე გადავადებაში. ეს ფაქტი მიუთითებს კოორდინაციის ნაკლებობაზე საპენსიო სააგენტოსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, ასევე მოსახლეობის ფინანსური ცნობიერების დაბალ დონეზე.

საინვესტიციო ეფექტიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ საპენსიო ფონდი უზრუნველყოფს დადებით რეალურ ამონაგებს, რაც უმეტეს პერიოდში აღემატება ინფლაციის მაჩვენებელს. საპენსიო დანაზოგების ინვესტირების ეფექტიანობა დაგროვებითი სისტემის წარმატების ფუნდამენტური საზომია. იგი განსაზღვრავს, თუ რამდენად რეალურად გარდაიქმნება მოქალაქეთა შენატანები გრძელვადიან ფინანსურ აქტივებად, რომლებიც დაცული იქნება ინფლაციური წნეხისგან. საქართველოს საპენსიო სისტემის საინვესტიციო პოლიტიკა ხასიათდება ევოლუციური განვითარებით. იგი გარდამავალია კონსერვატიული მიდგომიდან უფრო დივერსიფიცირებული სტრატეგიისკენ.

კანონმდებლობით განსაზღვრული სამი ტიპის პორტფელი (კონსერვატიული, დაბალანსებული და დინამიკური) იძლევა რისკისა და ამონაგების ოპტიმიზაციის შესაძლებლობას ბენეფიციართა ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით.

ცხრილი 3. საინვესტიციო პორტფელების განაწილება (2023)

პორტფელის ტიპი	აღწერა	საკობრივი ჯგუფი	წილი აქტივებში
დინამიკური	მაღალრისკიანი – აქციების მაღალი წილით	40 წლამდე	76%
დაბალანსებული	საშუალო რისკის პორტფელი	40–50 წელი	15%
კონსერვატიული	სახელმწიფო ობლიგაციები, დეპოზიტები	50+	9%

წყარო: საქართველოს საპენსიო სააგენტო

მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლისთვის აქტივების აბსოლუტური უმრავლესობა (76%) დინამიკურ პორტფელზე მოდიოდა, რეალური საინვესტიციო სურათი კვლავ მაღალ კონსერვატიზმზე მიუთითებს. კერძოდ, 2019-2023 წლების გარდამავალ პერიოდში ყველა მონაწილის დაგროვებული საპენსიო აქტივი სავალდებულო წესით დაბალრისკიან ინსტრუმენტებში იყო განთავსებული, რაც აუცილებელი იყო სისტემის მიმართ საწყისი ნდობის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა ზღუდავდა მაქსიმალურ ამონაგებს.

ცხრილი 4. საინვესტიციო პორტფელი

პორტფელი	პორტფელის ზომა (ლარი)	ნომინალური ამონაგები	რეალური ამონაგები
კონსერვატიული	5997,5 მლნ	11.6%	9.5%
დაბალანსებული	33,5 მლნ	12.8%	10.7%
დინამიკური	33,1 მლნ	13.6%	11.5%

წყარო: საქართველოს საპენსიო სააგენტო. წლიური ანგარიში, 2024

საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის რაოდენობრივი შეფასება (ცხრილები 3–4) ცხადყოფს, რომ სააგენტომ შეძლო რეალური დადებითი ამონაგების შენარჩუნება უმეტეს წლებში.


ცხრილი 5. საპენსიო აქტივების ამონაგები / ინფლაცია (2019–2024)

წელი	ნომინალური ამონაგები (%)	ინფლაცია (%)	რეალური ამონაგები (%)
2019	6.1	4.9	-0.8
2020	12.9	5.2	10.2
2021	9.5	9.6	-3.9
2022	7.3	11.9	-2.3
2023	12.3	2.5	11.8
2024	11.6	1.9	9.5

წყარო: საქართველოს საპენსიო სააგენტოს წლიური ანგარიშები

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2023 და 2024 წლების მაჩვენებლები, როდესაც რეალურმა ამონაგებმა შესაბამისად 11.8% და 9.5% შეადგინა. ეს შედეგი დიდწილად განპირობებულია ქვეყანაში ინფლაციის დონის მკვეთრი შემცირებითა და მაღალი საპროცენტო განაკვეთებით საბანკო დეპოზიტებზე. თუმცა, 2021–2022 წლებში მაღალი ინფლაციის პირობებში რეალური ამონაგები უარყოფითი იყო (-3.9% და -2.3%). ეს შედეგი მიუთითებს ადგილობრივ ფულად ბაზარზე გადაჭარბებული დამოკიდებულების რისკებზე. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ საპენსიო სააგენტოს სტრატეგია 2022 წლიდან უფრო პროაქტიური გახდა. გლობალურ ბაზრებზე გასვლა, ისეთ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, როგორცაა JP Morgan და Citibank, და პირველი ინვესტიციები საერთაშორისო აქციებში (წილი გაიზარდა 7.4%-დან 19.2%-მდე), მიუთითებს დივერსიფიკაციის მცდელობაზე. ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს EBRD-ის ლარში დენომინირებულ ევროობლიგაციებში 150 მილიონი ლარის ინვესტირება, რაც AAA რეიტინგის მქონე აქტივების მეშვეობით პორტფელის ხარისხობრივ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

დიაგრამა 4. საპენსიო აქტივების განაწილება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



წყარო: საქართველოს საპენსიო სააგენტოს წლიური ანგარიში, 2024

საერთაშორისო შედარებითი ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველოს სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზეა. იგი ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების საპენსიო მოდელებს დივერსიფიკაციისა და ბაზრის სიღრმის მიხედვით. მაშინ როდესაც OECD-ის ქვეყნებში აქციების წილი საშუალოდ 45%-ია, საქართველოში ეს მაჩვენებელი 13%-ს არ აღემატება. შარპს კოეფიციენტი (1.14), მიუხედავად იმისა, რომ დამაკმაყოფილებელია განვითარებადი ბაზრისთვის, ჩამორჩება ისეთი მოწინავე ფონდების მაჩვენებლებს, როგორცაა კანადის CPP (1.35). ეს მიუთითებს იმაზე, რომ თითოეულ რისკის ერთეულზე მიღებული ზედმეტი ამონაგების პოტენციური ჯერ კიდევ ასათვისებელია.

კვლევის საფუძველზე გამოკვეთილია ძირითადი გამოწვევები: ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის მცირე მოცულობა, ლიკვიდურობის რისკი და მაღალი კორელაცია ეროვნულ ეკონომიკურ ციკლთან. საინვესტიციო გადაწყვეტილებების შესაძლო

პოლიტიზება და მოსახლეობის დაბალი ფინანსური განათლება დამატებით ბარიერებს ქმნის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საპენსიო რეფორმა გზაგასაყარზეა. კონსერვატიულმა მიდგომამ საწყის ეტაპზე უზრუნველყო კაპიტალის დაცვა. თუმცა გრძელვადიანი მდგრადობისთვის აუცილებელია სტრატეგიული გადასვლა დაბალანსებულ მოდელზე. ეს გულისხმობს უცხოური აქტივების წილის ზრდას, ESG სტანდარტების დანერგვას და ადგილობრივი საფონდო ბაზრის ინსტრუმენტული მრავალფეროვნების მხარდაჭერას. აღნიშნული უზრუნველყოფს რისკისა და სარგებლის ოპტიმალურ ბალანსს მომავალი პენსიონერებისთვის.

საერთო ჯამში, საქართველოს საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს მდგრადი განვითარების ეტაპზე მყოფ მოდელს, რომლის ეფექტურობა იზრდება რეგულაციების გამჭვირვალობისა და ბაზრის გაღრმავების პარალელურად. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ გრძელვადიანად წარმატებული საპენსიო სისტემა ეფუძნება არა მხოლოდ მაღალი ამონაგების მიღწევას, არამედ რისკისა და სარგებლის ოპტიმალურ ბალანსს, ეს საქართველოს შემთხვევაში თანდათან მიიღწევა.

ნაშრომში შემუშავებულია ინტეგრირებული ანალიტიკური მოდელი, რომელიც აერთიანებს დაგროვებითი საპენსიო სისტემის შეფასებისა და პროგნოზირების სამ ძირითად კომპონენტს: ეკონომეტრიკულ, დემოგრაფიულ და სცენარულ ბლოკებს.

ეკონომეტრიკული კომპონენტი ეფუძნება დროითი რიგების ანალიზს და მოიცავს ARIMA მოდელის გამოყენებით საპენსიო აქტივების დინამიკისა და საინვესტიციო შემოსავლიანობის პროგნოზირებას. აღნიშნული მოდელი საშუალებას იძლევა შეფასდეს მაკროეკონომიკური ფაქტორების (მშპ, ინფლაცია, გაცვლითი კურსი) გავლენა საპენსიო ფონდის შედეგებზე და დადგინდეს მათ შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები.

დემოგრაფიული კომპონენტი მოიცავს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის, შობადობის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის დინამიკის ანალიზს. აღნიშნული ფაქტორები კრიტიკულ გავლენას ახდენს საპენსიო სისტემის გრძელვადიან ფისკალურ დატვირთვასა და მდგრადობაზე. სცენარული

კომპონენტი აერთიანებს ბაზისურ, ოპტიმისტურ და კონსერვატიულ პროგნოზებს, რომლებიც აგებულია სხვადასხვა ეკონომიკური და დემოგრაფიული პარამეტრების ცვლილების პირობებში. აღნიშნული მიდგომა იძლევა სისტემის განვითარების ალტერნატიული ტრაექტორიების შეფასების საშუალებას და უზრუნველყოფს რისკების კომპლექსურ ანალიზს.

შემუშავებული მოდელი წარმოადგენს მრავალფაქტორულ, ინტეგრირებულ ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ეკონომეტრიკულ პროგნოზირებას, დემოგრაფიულ ანალიზსა და სცენარიულ მოდელირებას საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის შეფასებისთვის.

ნაშრომის კვლევით ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საპენსიო სისტემის მიმართ არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულების დაძლევისა და მისი გრძელვადიანი მდგრადობის დასაბუთებას ემპირიული მონაცემების საფუძველზე. კვლევამ აჩვენა, რომ რეფორმის საწყის ეტაპზე (2019 წელი) ფონდის ფორმირება გარკვეული სირთულეებით წარმართა: პოტენციური 1.7 მილიონი მონაწილიდან პროგრამაში მხოლოდ 960,394 პირი ჩაერთო. ეს მდგომარეობა განპირობებული იყო შრომის ბაზარზე არსებული დაბალი აქტივობითა და მოსახლეობის უნდობლობით ფონდის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის მიმართ. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, სისტემიდან 164,096 პირის გასვლა სწორედ ამ ეგზოგენური ფაქტორებით იყო განპირობებული.

ცხრილი 6. ინფორმაცია საპენსიო სქემაში გაწევრიანების და ფონდის ღირებულების შესახებ

სულ უნიკალური მონაწილე (2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით რეგისტრირებული)	<b>960,394</b>
კერძო სექტორი	<b>737,774</b>
საჯარო სექტორი	<b>222,620</b>
სულ უნიკალური გასული	<b>164,096</b>
კერძო სექტორი	<b>121,841</b>
საჯარო სექტორი	<b>42,255</b>

სულ ფონდის ღირებულება	508 მლნ
მათ შორის დარიცხული სარგებელი	17 მლნ

წყარო: საქართველოს საპენსიო სააგენტო, 2019 წლის ანგარიში

ცხრილში მოცემული მონაცემები ასახავს საპენსიო სქემაში მონაწილეთა რაოდენობისა და საპენსიო ფონდის ღირებულების დინამიკას დროის ჭრილში. აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს დაგროვებითი საპენსიო სისტემის განვითარების ძირითადი ინდიკატორების ერთობლიობას, რომლებიც იძლევა სისტემის ფინანსური მდგრადობისა და ზრდის ტენდენციების შეფასების საშუალებას.

მონაცემთა ანალიზი ეფუძნება ორ ძირითად ცვლადს:

1. საპენსიო სქემაში გაწევრიანებულთა რაოდენობა — რომელიც ასახავს სისტემის ინსტიტუციურ გაფართოებას და მოსახლეობის ჩართულობის დონეს;
2. საპენსიო ფონდის მთლიანი ღირებულება — რომელიც წარმოადგენს დაგროვილი აქტივების მოცულობას და ასახავს როგორც შენატანების, ასევე საინვესტიციო შედეგების ერთობლივ ეფექტს.

აღნიშნული ცვლადების ერთობლივი ანალიზი იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს დაგროვებითი საპენსიო სისტემის განვითარების როგორც რაოდენობრივი, ისე ფინანსური ასპექტები.

საპენსიო ფონდის მდგრადობისა და ეფექტიანობის სამეცნიერო დასაბუთების მიზნით, ჩატარდა რეგრესიული ანალიზი, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრა ფონდის ეფექტიანობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების გავლენის ხარისხი. რეგრესიული ანალიზისათვის დამოკიდებულ ცვლადად აღებული იქნა საპენსიო ფონდის ეფექტიანობა (Y), ხოლო მასზე მოქმედ დამოუკიდებელ ცვლადებად: საპენსიო შენატანის სიდიდე (X1), უკუგება ინვესტიციიდან (X2) და ვალუტის გაცვლითი კურსი (X3). გამომდინარე იქედან, რომ ქართულმა საპენსიო პროგრამამ უკუგება 2022 წლიდან დაიწყო, საპენსიო შენატანების საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაცია ქართულ და უცხოურ ფასიან ქაღალდებში გაგრძელდა შემდეგ წლებშიც, პროგნოზირების

მოდელის შესაქმნელად ეკონომეტრიკულ ანალიზში გამოყენებული იქნა 2022 და 2023 წლის ყოველთვიური საინვესტიციო შემოსავალი და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

$$Y = \alpha + \beta_1 X_1 + \beta_2 X_2 + \beta_3 X_3 + \epsilon_t$$

სადაც,

- $Y$  ( $ROI_t$ ) — საპენსიო ფონდის ეფექტიანობა;
- $X_1$  ( $Pension\ contributions_t$ ) — საპენსიო შენატანი;
- $X_2$  ( $Return\ on\ investment$ ) -უკუგება ინვესტიციიდან;
- $X_3$  ( $EX_t$ ) — გაცვლითი კურსი.

ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ნდობის დაბალი დონის ტრანსფორმაციას ეკონომეტრიკულად დასაბუთებულ შეფასებად. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ სწორად შერჩეული საინვესტიციო სტრატეგია და პორტფელის დივერსიფიკაცია — როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე — წარმოადგენს საპენსიო სისტემის ფინანსური გამძლეობის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას.

ცხრილი 7. საპენსიო ფონდზე მოქმედი ფაქტორების სტატისტიკური მონაცემები

	Y	x1	x2	x3
პირობითი პერიოდი	საპენსიო ფონდის ეფექტიანობა	საპენსიო შენატანები	უკუგება ინვესტიციიდან	გაცვლითი კურსი
2022-I	0,73	1781000,00	282,00	3,05
2022-II	3,14	1838000,00	300,00	3,15
2022-IV	3,81	1908000,00	318,00	3,11
2022-V	3,32	1971000,00	329,00	3,05
2022-VI	3,41	2040000,00	329,00	2,95
2022-VI	2,99	2101000,00	336,00	2,92
2022-VII	3,14	2167000,00	346,00	2,76
2022-VIII	2,99	2232000,00	374,00	2,90
2022-IX	2,77	2294000,00	369,00	2,83
2022-X	3,26	2369000,00	397,00	2,77
2022-XI	2,70	2433000,00	418,00	2,71
2022-XII	3,16	2510000,00	438,00	2,70
2023-I	3,18	2591000,00	460,00	2,64

2023-II	2,70	2661000,00	477,00	2,62
2023-IV	3,01	2744000,00	492,00	2,56
2023-V	3,28	2827000,00	510,00	2,49
2023-VI	3,18	2917000,00	556,00	2,59
2023-VI	2,73	3003000,00	628,00	2,61
2023-VII	3,01	3086000,00	680,00	2,64
2023-VIII	3,91	3773000,00	305,60	2,62
2023-IX	4,24	3930000,00	247,05	2,67
2023-X	2,54	4030000,00	260,73	2,70
2023-XI	4,46	4210000,00	295,84	2,71
2023-XII	3,32	4350000,00	431,63	2,68

წყარო: საქართველოს საპენსიო სააგენტო, საინვესტიციო პორტფელი


სტატისტიკური მონაცემების სიმცირის გამო, კვლევის მოსალოდნელი შედეგის ფაქტიურ შედეგთან შესაბამისობისათვის პირველ რიგში დადგინდა დროითი სერიების სტაციონარულობის მდგომარეობა.

ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები:

(H0): დროითი სერია არ არის სტაციონარული;

(H1): დროითი სერია არის სტაციონარული.

დროითი სერიების გრაფიკების მიხედვით ტრენდი და სეზონურობა არ ისახება. კომპიუტერული პროგრამა Eviews-ის გამოყენებით სერიები შემოწმდა დიკი-ფულერის ტესტზე, მიღებულია, რომ P (ალბათობა) ყველა ცვლადისათვის ნაკლებია 0,05-ზე გრაფიკი 1. დროითი სერიები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის საშუალებით

საპენსიო ფონდის ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების გრაფიკული ანალიზი აჩვენებს, რომ დროითი სერიის ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამება სტაციონარულობის მოთხოვნებს, მაგრამ საერთო სურათი მოვლენების განვითარების შესაბამისია. მაგალითად, საპენსიო შენატანები (X1) ზრდადია დროსთან მიმართებაში, ხოლო გრაფიკზე ნაჩვენები მკვეთრი მატება საპენსიო პროგრამის ბენეფიციართა ზრდას უკავშირდება. ასევე ზრდადია საინვესტიციო შემოსავლებიც (X2).

მონაცემთა დროითი სერიების სტაციონარულობის განსამტკიცებლად შემოწმდა გაფართოებული დიკი-ფულერის ტესტი.

ცხრილი 8. გაფართოებული დიკი-ფულერის ტესტის შედეგები

ცვლადები	t Crit	t Stat	P(probability)	F Stat	Akaike info criterion	Schwarz criterion	Durbin-Watson stat
y	2.99806	-3.6.9072	0.00000	4.77105	15.08373	16.07111	2.384639
X1	3.004861	-4.05406	0.00053	16.4354	26.54108	26.64026	2.008563
X2	3.004861	-3.79931	0.00094	14.4347	12.00165	12.10084	1.873354
X3	3.004861	-5.60511	0.00002	14.1733	24.83824	23.84639	1.948942


წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის საშუალებით

მაჩვენებლები  $t$  სტატ და  $t$  კრიტიკ. ადასტურებს ცვლადების სერიების სტაციონარულობას. ასევე  $P$  (ალბათობა) ნაკლებია 0.05-ზე.

ცხრილში წარმოდგენილი F-სტატისტიკის მნიშვნელობა ადასტურებს ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს. F-სტატისტიკის ზრდა თან ახლავს p-ალბათობის შემცირებას, რაც ქმნის საფუძველს ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფისთვის. Schwarz criterion- X1 ცვლადი მაღალია, ეს მიუთითებს, რომ საპენსიო შენატანებზე მოქმედებს სხვა ფაქტორებიც (დემოგრაფიული მდგომარეობა, ეკონომიკური პოლიტიკა, დასაქმების დონე). ცვლადებს შორის ავტოკორელაციის დასადგენად დიკი-ფულერის ტესტში მოცემულია დარბინ უიტსონის კრიტერიუმი, რომლის მნიშვნელობებიდან ჩანს, რომ დამოკიდებული ცვლადი (საპენსიო ფონდის ეფექტიანობა-y) მცირედით არის უარყოფით ავტოკორელაციაში დანარჩენ ცვლადებთან; X1 - საპენსიო შენატანების ტესტის მიხედვით ნულოვანი ავტოკორელაციაა; ხოლო X2 და X3-ის დარბინ უიტსონის კრიტერიუმი მიუთითებს

დადებით ავტოკორელაციაზე. საერთო ჯამში შერჩეული ფაქტორების საფუძველზე პროგნოზირების მოდელის აგება დასაშვებია. საიმედოობის გამყარებისათვის რეგრესული მოდელის ცვლადები გამოკვლეულია გრაფიკულად.

გრაფიკი 2. რეგრესული მოდელის ცვლადები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის საშუალებით

გრაფიკზე გამოსახული მდგომარეობა აჩვენებს, რომ რეგრესული მოდელის ცვლადები სწორად არის შერჩეული, რადგან ფაქტიური და საპროგნოზო გრაფიკები ერთმანეთთან არის ახლოს. რეგრესული განტოლების პარამეტრების დამოკიდებულება განისაზღვრა Eviews პროგრამით.

ცხრილი 9. რეგრესული ანალიზის შედეგი

Dependent Variable: Y				
Method: Least Squares				
Date: 01/16/25 Time: 14:39				
Sample: 2001 2024				
Included observations: 24				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
X1	3.89E-07	2.63E-07	1.477416	0.0551
X2	-0.000800	0.001717	-0.465901	0.0346
X3	0.063706	1.359854	0.046848	0.0463
C	2.200959	4.828662	0.455811	0.0253
R-squared	0.699069	Mean dependent var		3.124167
Adjusted R-squared	0.778929	S.D. dependent var		0.694781
S.E. of regression	0.666799	Akaike info criterion		2.178355
Sum squared resid	8.892408	Schwarz criterion		2.374697
Log likelihood	-22.14025	Hannan-Quinn criter.		2.230444

F-statistic	1.656975	Durbin-Watson stat	1.799940
Prob(F-statistic)	0.008199		

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის საშუალებით

ანალიზის პროცესში მიღებული პარამეტრების მნიშვნელობები ხაზს უსვამს მოდელის მნიშვნელოვნებას, განტოლება ღებულობს სახეს:

$$Y = 3,89E-07 X1 - 0,000800 X2 + 0,063706 X3$$

მოდელის შეფასებამ აჩვენა, რომ მაკროეკონომიკური ცვლადები (ინფლაცია, გაცვლითი კურსი) სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საპენსიო ფონდის აქტივებზე. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ საპენსიო აქტივების დინამიკა განპირობებულია როგორც შიდა (შენატანები), ისე გარე (მაკროეკონომიკური გარემო) ფაქტორებით, რაც მიუთითებს სისტემის მრავალფაქტორულ და კომპლექსურ ბუნებაზე. საპენსიო ფონდის ეფექტიანობის პროგნოზირების შედეგების რელევანტურად მისაღებად საჭიროა დადგინდეს ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრივი ტესტით.

ცხრილი 10. გრეინჯერის ტესტის შედეგი

Pairwise Granger Causality Tests			
Date: 01/16/25 Time: 15:02			
Sample: 2001 2024			
Lags: 4			
Null Hypothesis:	Obs	F Statistic	Prob
X1 does not Granger Cause Y	20	0.763910	0,0034
Y does not Granger Cause X1		0.27533	0,8878
X2 does not Granger Cause Y	20	9.94807	0,0012
Y does not Granger Cause X2		0.12997	09682
X3 does not Granger Cause Y	20	1.12759	0,3927
Y does not Granger Cause X3		0.60843	0.6650

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის საშუალებით

გრეინჯერის მიზეზობრიობის ტესტი კიდევ უფრო აღრმავებს ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფას, რადგან ალბათობა იმისა, რომ x1 -ის მნიშვნელობები არ გამოიწვევს მომავალში y-ის მნიშვნელობების ცვლილებას ნულის ტოლია. უარყოფილია ნულოვანი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით X2 არ ახდენს გავლენას Y-ის მომავალ მნიშვნელობებზე (p = 0.0012), რაც ადასტურებს აღნიშნული ცვლადის სტატისტიკურ

მნიშვნელობას. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის საპირისპირო ეფექტი განპირობებულია მისი მაღალი ვოლატილობით, რაც ზრდის გაურკვევლობას და ამცირებს პროგნოზირების სიზუსტეს. მომავალი მოვლენების წინასწარი განსაზღვრისა და შემთხვევითობაზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით, გამოყენებულ იქნა **ARIMA** (Autoregressive Integrated Moving Average) მოდელი. დროითი მწკრივების სტაციონარულობის შესამოწმებლად ჩატარებულმა დიკი-ფულერის (Augmented Dickey-Fuller) ტესტმა აჩვენა, რომ საპენსიო ფონდის ეფექტიანობის მონაცემები სტაციონარული ხდება მეორე რიგის სხვაობის ( $\Delta^2$  difference) პირობებში. კოლეროგრამის ანალიზითა და მოდელის შერჩევის კრიტერიუმების (მაქსიმალური  $R^2$ , მინიმალური AIC და SBIC) საფუძველზე, ოპტიმალურ საპროგნოზო მოდელად განისაზღვრა **ARIMA (1, 2, 1)** (იხ. ცხრილი 11).


ცხრილი 11. ARIMA საპროგნოზო მოდელის მონაცემები

	Arima (1 1 1)	Arima (1 2 1)	Arima (1 1 3)	Arima (1 1 4)	Arima (1 1 5)
მნიშვნელოვანი კოეფიციენტები	1	2	1	1	1
R2 adj	0,509	0,746	0,404	0,309	0,361
AIC	1,585	0,966	1818	1,966	1,888
SBIC	1,684	1,114	1,966	2,115	2,037

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის საშუალებით

მოდელის ვალიდურობას ადასტურებს მაღალი დეტერმინაციის კოეფიციენტი ( $R^2 = 0.746$ ) და კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნება ( $\text{Prob} < 0.05$ ). 2022-2023 წლების ყოველთვიურ მონაცემებზე დაყრდნობით აგებული პროგნოზი 2030 წლამდე (გრაფიკი 3.5) მიუთითებს მნიშვნელოვან ტენდენციაზე: საპენსიო ფონდის ინვესტირების ეფექტიანობა მოცემული სტრატეგიის პირობებში არ აჩვენებს მკვეთრ ზრდას. საშუალო კვადრატული ცდომილება ( $\text{RMSE} = 0.23$ ) მიუთითებს პროგნოზის მისაღებ სიზუსტეზე და ხაზს უსვამს საინვესტიციო პოლიტიკის გადახედვის საჭიროებას.


გრაფიკი 3. Y - დამოკიდებული ცვლადის პროგნოზირების შედეგი



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით


დამოკიდებული ცვლადების პროგნოზირებამ (გრაფიკები 4, 5 და 6) გამოკვეთა საინტერესო დინამიკა:

გრაფიკი 4. X<sub>1</sub> დამოკიდებული ცვლადის (საპენსიო შენატანები) პროგნოზირების




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით

გრაფიკი 5. X<sub>2</sub>-დამოკიდებული ცვლადის (ინვესტიციიდან უკუგება) პროგნოზირების



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით

გრაფიკი 6. X<sub>3</sub>-დამოკიდებული ცვლადის (გაცვლითი კურსი) პროგნოზირების



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Eviews-სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით

- **საპენსიო შენატანები ( $X_1$ ):** მოსალოდნელია ფონდის კაპიტალიზაციის სტაბილური ზრდა. უტოლობის კოეფიციენტის დაბალი მაჩვენებელი (0.047) ადასტურებს პროგნოზის მაღალ სიზუსტეს და მიუთითებს სისტემის მასშტაბების გაფართოებაზე.
- **ინვესტიციიდან უკუგება ( $X_2$ ):** პროგნოზი მიუთითებს უკუგების სტაგნაციურ ხასიათზე 2030 წლამდე. ეს ქმნის გარკვეულ პარადოქსს: შენატანების ზრდის ფონზე უკუგების მინიმალური ცვლილება მიანიშნებს არასაკმარისად აქტიურ საინვესტიციო მენეჯმენტზე და დივერსიფიკაციის დეფიციტზე.
